ნიკოლოზ ბარათაშვილს

ვით ოქროს ფარჩა გადმოაიდული,
გამოვზრდილვართ,
ბრწყინავდა შენი ქვეყნის ბუნება;
ჰხვდებოდნენ დიდი მთაწმინდელები
მთაწმინდის მთაზე შენს დაბრუნებას.
აჟღერებულს

დაგვხვდა ილია-ქართლის კლდეკაცი,
დაბორკილებულს
სამშობლოს აზრი შუბლნატყვიარი;
დაგხვდა აკაკი - ბერი ბულბული,
ვისი სიმღერის გული ტყვე არი. . .

ყელს შემოგეჭდო ვაჟა-ფშაველა,
სტალინის დედა გეგებებოდა...
და შენი ძვირფას ნეშტის წინაშე
შენი სამშობლო ფეხზე დგებოდა...

გარს შემოგერტყით ახალი მოდგმა,
შენი სიმღერის ცრემლნასხურები;

შენს ნაგუბარზე ვინც

ახალ ქართლის ბედს ვემსახურებით. -

და ჩვენ გემთხვევით ფერფლს

და არა მტვერსა და მოჩვენებას,-
შენს დაბმულ ქროლვას

და შენს დალურსმულ გამოჭენებას...

გულში ატეხილ ქარიშხლის ღელვამ
სიკვდილის წყვდიადს არ დაგანება;
გააფთრებული შენი მერანი
მსოფლიოს გზაზე მიექანება.

და ხალხი, შენი დამბადებელი,
ამონათებულ მზეს ეშურება;
არ დაიღლება გული ხალხისა,
თუ რაში ოფლით შეიწურება!